ნეოგაზი

NEOGAS

№ 12511-4

16 სექტემბერი 2021 წ.

**საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის**

**მინისტრის მოადგილეს,**

**ქალბატონ ნინო თანდილაშვილს**

**ქალბატონო ნინო,**

გაცნობებთ, რომ შპს „ნეოგაზი" ქ. მარნეულში, 26 მაისის ქუჩაზე არსებული ავტო გაზგასამართი სადგურის ტერიტორიაზე ნავთობპროდუქტების სარეალიზაციო წერტილების დამატების მიზნით გეგმავს ნავთობპროდუქტების საცავის მოწყობასა და ექსპლუატაციას.

კომპანიას, აღნიშნულ ობიექტზე, ბუნებრივი აირის საწავის ფუნქციონირების გამო მიღებული აქვს საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2020 წლის 31 დეკემბრის #2-1271 ბრძანებით დამტკიცებული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება. ვინაიდან, საქართველოს გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის მე-5 მუხლის მე-12 ნაწილით, გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით გათვალისწინებული საქმიანობის საწარმოო ტექნოლოგიის განსხვავებული ტექნოლოგიით შეცვლა ან/და ექსპლუატაციის პირობების შეცვლა, მათ შორის, წარმადობის გაზრდა, ამ კოდექსით განსაზღვრული სკრინინგის პროცედურისადმი დაქვემდებარებულ საქმიანობად მიიჩნევა, არსებულ გაზგასამართ სადგურზე ნავთობპროდუქტების სარეალიზაციო წერტილების დამატების მიზნით, ნავთობპროდუქტების საცავის მოწყობასა და ექსპლუატაციის საქმიანობასთან დაკავშირებით ზემოაღნიშნული კოდექსის მე-7 მუხლის გათვალისწინებით, მომზადებულ იქნა შესაბამისი სკრინინგის ანგარიში.

ამასთან გაცნობებთ, რომ სკრინინგის დოკუმენტაციაში გათვალისწინებულია ზემოაღნიშნულ საქმიანობასთან დაკავშირებით, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს 2021 წლის 6 მაისის N4549/01 წერილში აღნიშნული საკითხები.

გთხოვთ, განიხილოთ თანდართული დოკუმენტი და მიიღოთ შესაბამისი გადაწყვეტილება.

დანართი - სკრინინგის ანგარიშის ელ. ვერსია shape ფაილებთან ერთად.

პატივისცემით

ქიამურ ქიაბერაშვილი

დირექტორი

№ 16785 17 09 2021